საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

ი.მ. ,,თემურ შუბითიძის"

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

გაცნობებთ, რომ ი.მ. ,,თემურ შუბითიძე"-ს დაგეგმილი აქვს ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ოსიაურში ვულკანური წიდის(პემზის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა.

საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი"-ს მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს გადაწყვეტილებას.

პატივისცემით,

16.05.2019

თემურ შუბითიძე

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის საქართველოს სამინისტრო
№ 7359
"21" 05 2019
1/6 ფ.
02

ი.მ. ,, თემურ შუბითიძე“

ინერტული მასალების წარმოება

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი შ.პ.ს. ,,BS Group”

159 M. Brothers Romelashvilebi st, Gori, Georgia, + 0 370) 273365,599708055, e-mail: makich62@mail.ru

ი.მ ,,თემურ შუბითიძე"-ს დაგეგმილი ინერტული მასალების მწარმოებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია ხაშურის მუნიციპალიტეტის, სოფ. ოსიაურში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე(ს/კ 69.03.61.172). ნაკვეთის ფართობია 2218კვ.მ. და თემურ შუბითიძის საკუთრებაშია. ტერიტორიის ზედაპირი დაფარულია ტექნოგენური გრუნტით, შემოღობილია მავთულვადით. ტერიტორიაზე არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა. უახლოესი დასახლებული პუნქტია სოფ. ქვემო ოსიაური, ხოლო უახლოესი მოსახლე ინერტული მასალების სამსხვრევი დანადგარის განთავსების ადგილიდან დაშორებულია 220 მეტრით. თბილისი - სენაკი -ლესელიძე საერთაშორისო მნიშვნელობის გზა მდებარეობს საწარმოდან 30 მეტრის, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი - მდ. სურამულა - საწარმოდან 90მ.-ის, ხოლო მდ. მტკვარი - საწარმოდან 1,4კმ.-ის დაშორებით. ტერიტორიის მიმდებარე ნაკვეთებზე ანალოგიური პროფილის საწარმოები არ მდებარეობენ.

საქმიანობის განმახორციელებელი და სკრინინგის ანგარიშის შემმუშავებელი ორგანიზაციების საკონტაქტო ინფორმაცია მოცემულია ცხრილში 1.1.

ცხრილი 1.1.

საქმიანობის განმხორციელებელი კომპანია	ი.მ. ,,თემურ შუბითიძე"
იურიდიული მისამართი	ხაშური, დაბა სურამი, ს. ჩუმათელეთი
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ხაშური, ს. ოსიაური
საქმიანობის სახე	ინერტული მასალების წარმოება
საკონტაქტო მონაცემები	
საიდენტიფიკაციო კოდი	57001049504
ელექტრონული ფოსტა	1603shubitidze@posta.ge
საკონტაქტო პირი	თემურ შუბითიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 58 66 77 85
საკონსულტაციო ფირმა	შ.პ.ს. ,,BS Group"
დირექტორი	ნინო კობახიძე
მისამართი	ქ. გორი, ძმები რომელაშვილების ქ.N159
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 70 80 55
ელექტრონული ფოსტა	Makich62@mail.ru

მიახლოებითი GPS კოორდინატები

#	X	Y
1	386764	4649834
2	386747	4649885
3	386751	4649894
4	386779	4649906
5	386798	4649844

დანართი 1.1. და 1.2. წარმოდგენილია საწარმოს სიტუაციური გეგმა და საკადასტრო ნახაზი.

დანართი1.1.

დანართი 1.2.

საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი:	**69.03.61.172**	ნაკვეთის დანიშნულება:	**არასახიფლო სამეურნეო**
განცხადების ნომერი:	**892018703581**	ფართობი:	**2218 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**
მომზადების თარიღი:	**05/09/2018**		



კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:500

დაგეგმილი სიმძლავრე შეადგენს 75000ტონა/წელს. სამსხვრევ დანადგარზე ადგილი ექნება სველი ვულკანური წიდის(პემზა) ორჯერად მსხვრევას. მსხვრევის შედეგად სასურველი ფრაქციის მიღება მიიღწევა სამსხვრევ დანადგართან არსებული საცერის საშუალებით. ნედლეულის შემოტან ტერიტორიაზე მოხდება სატვირთო ავტომობილებით და დაიყრება სამსხვრევი დანადგარის მიმდებარედ პემზის საწყობში. საწყობიდან ნედლეული ჩაიყრება სამსხვრევი დანადგარის 1 ბუნკერში. დამსხვრეული მასალა ასევე ლენტური ტრანსპორტიორით დაიყრება პროდუქციის საწყობში, საიდანაც დაიტვირთება ავტომობილის ძარაზე და გატანილი იქნება ტერიტორიიდან. დანადგარი მუშაობს ელ. ენერგიაზე და მთლიანად ავტომატიზირებულია - გააჩნია ავტომატური მართვის კარადა, მართვის პულტი. ნედლეული - ვულკანური წიდა(პემზა) შესყიდული იქნება ადგილობრივ სამომხმარებლო ბაზარზე. ტექნოლოგიურ ციკლში წყლის გამოყენებას ადგილი არ ექნება.

საწარმოში წყლის გამოყენებას ადგილი აქვს სასმელ-სამეურნეო მიზნებით. ამ მიზნებით მოხმარებული წყლის რაოდენობა დამოკიდებულია დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა რაოდენობაზე. საწარმოს ხელმძღვანელობა გეგმავს 3 ადამიანის დასაქმებას. წყალაღება განხორციელდება ჭიდან, რომლის მოწყობა იგეგმება საწარმოს ტერიტორიაზე.
სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება მოხდება საასენიზაციო ორმოში, რომელიც დაიცლება პერიოდულად სპეც. ტექნიკის საშუალებით ხელშეკრულების საფუძველზე.

ტექნოლოგიური პროცესში, არც ერთ ეტაპზე ადგილი არ ექნება წყლის და რაიმე სახის საწვავის გამოყენებას, ამიტომ სანიაღვრე წყლების დაბინძურების რისკი უმნიშვნელოა.

გარემოზე მცირე მასშტაბის ურყოფითი ზემოქმედება გამოწვეული იქნება ატმოსფერულ ჰაერში ინერტული მასალის მტვრის გაფრქვევით, რომელიც წარმოიქმნება ტექნოლოგიური პროცესების წარმოებისას. საწარმოს სიმძლავრის გათვალისწინებით, ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ნეგატიური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საწარმოს მოწყობის სამუშაოების წარმოებისას ხმაურის წარმომქმნელ წყაროს წარმოადგენს მძიმე ტექნიკა ავტოთვითმცლელის სახით, რომლის საშუალებით განხორციელდება ტერიტორიაზე დანადგარების შეტანა. ზემოქმედებას ექნება ერთჯერადი ხასიათი. პროცესების წარმოებისას ხმაურის გამომწვევ წყაროებს წარმოადგენს სამსხვრევი დანადგარი და საშუალოტონაჟიანი საავტომობილო ტრანსპორტი. აღნიშნული ტექნიკის სიმძლავრის და საწარმოს მდებარეობის გათვალისწინებით(საწარმოსა და უახლოეს დასახლებულ პუნქტს შორის განთავსებულია თილისი-სენაკი -ლესელიძის საავტომობილო მაგისტრალი, რომელზეც ავტომანქანების მოძრაობა მაღალი ინტენსივობით გამოირჩევა), საწარმოს ექსპლუატაციისას ხმაურით გამოწვეული ნეგატიური ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი.

საპროექტო ტერიტორიების მომიჯნავე ტერიტორიებზე არ გვხვდება ტყით დაფარული ისეთი ტერიტორიები, სადაც ხანძარი შეიძლება სწრაფად გავრცელდეს, ამიტომ ავარიების ან კატასტროფების რისკები არ არსებობს.

ტერიტორიაზე არ არსებობს მცენარეული საფარი, რაც გამორიცხავს მცენერეულ საფარზე რაიმე სახის ზემოქმედებას.

აღნიშნული საქმიანობა არ უკავშირდება რაიმე სახის მასშტაბური ავარიის ან კატასტროფის რისკებს.

დაგეგმილი საქმიანობა არაა დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიებთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ დაფარულ ტერიტორიებთან, სახელმწიფო ტყის ფონდთან და დაცულ ტერიტორიებთან. საქმიანობის პროცესში ტრანსასაზღვრო ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. საწარმოს ზემოქმედების ზონაში კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობენ.

სააქმიანობისას მოსალოდნელია მცირე რაოდენობით სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეგროვება გათვალისწინებულია კონტეინერებში, რომელიც გატანილი იქნება ნაგავსაყრელზე არსებული წესების მიხედვით, ხოლო სახიფათო ნარჩენები განთავსდება დაცულ ადგილებზე და გადაეცემა შესაბამისი ნარჩენების გაუვნებლობაზე ნებართვის მქონე იურიდიულ პირს.

ზემოქმედების ეფექტიანი შემცირების მიზნით, საწარმოს ოპერირებისას გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესრულებაზე დაწესებული იქნება მკაცრი კონტროლი და საჭიროების შემთხვევაში კომპანია კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს დამატებითი გარემოსდაცვითი ღონისძიებები.

პატივისცემით,

/თ. შუბითიძე/